



**მინის საკადასტრო მონაცემთა
კვლევის შედეგები
სოფელ მზისგულის მახლობლად**

DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-84

ელენე ბლიაძე
სტუდენტობის
ebliadze@gmail.com

რეზიუმე

ნაჩვენებია საქართველოს მინის საკადასტრო სისტემაში არსებულ ინფორმაციაზე, კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული მინაზე საკუთრების რეგისტრაციის რეგისტრაციის პროცესში შექმნილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სივრცული ანალიზის შესაძლებლობები გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების დახმარებით; ნაჩვენებია მინის საკადასტრო-საბაზისო მონაცემის მნიშვნელობა. კვლევის შედეგებში გამოვლენილია პრობლემური საკითხები და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

დასაბუთებულია მოსაზრება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არქივებში დაცული ძველი მინათსარგებლობის და ნიადაგურ რუკებზე ასახული ინფორმაციის ციფრულ ფორმატში გადაყვანა. კერძოდ, სივრცით (გეოგრაფიულ) ინფორმაციაში გადაყვანა, ძველი და თანამედროვე მდგომარეობის შედარებისათვის, მომავალი საქმიანობების დაგეგმვისათვის. კვლევისათვის შერჩეულია კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი მზისგული, სადაც დასრულებულია სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტი.

საკვლევი ტერიტორიის საზღვრად გამოყენებულია მზისგულის სარეგისტრაციო სექტორის საზღვარი (55.02). არსებული

საკადასტრო და კვლევის პროცესში შექმნილი სივრცითი მონაცემებით გაანალიზდა ყველა შესაძლო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები. შეიქმნა გეომონაცემთა ბაზები ყველა მნიშვნელოვანი გეოსივრცული ფენით, მომზადდა თემატური რუკები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კადასტრი, მიწის საკადასტრო სისტემა, საკუთრების რეგისტრაცია, მიწის რესურსები, გეომონაცემები, გის, სივრცული ანალიზი.

შესავალი


მიწის ელექტრონული საკადასტრო მონაცემები კონკრეტული თარიღის მდგომარეობით ფაქტიურად არსებული მიწის ნაკვეთების აგეგმვისას ან აღწერისას შეგროვებული სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემებია. ის აუცილებლად წარმოდგენილია ფართობის მქონე (ე.წ. პოლიგონალური) ობიექტის სახით და თან ახლავს კონკრეტული სტანტარდით განსაზღვრული ატრიბუტული ინფორმაცია. საქართველოში მიწის ელექტრონული საკადასტრო მონაცემების შეგროვების ტექნიკური და სამართლებრივი შესაძლებლობა 2004 წლიდან შეიქმნა და დღემდე მიმდინარეობს. აღსანიშნავია ის, რომ კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებებისას გათვალისწინებული იყო იმდროინდელი ტექნოლოგიური მიღწევები.

მიწის საკადასტრო მონაცემთა თანამედროვე მდგომარეობის შესწავლისათვის შერჩეული იქნა კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი მზისგული, სადაც დასრულებულია სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტი. საზღვარად აღებულია სარეგისტრაციო სექტორის საზღვარი (55.02). საკვლევი ტერიტორია მდებარეობს საქართველოში, კახეთის რეგიონში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ მზისგულში (ყოფილი ბოგდანოვკა), კაჭრეთის ვაკის ჩრდილოეთ კიდეზე. თემის ცენტრი მდებარეობს ზღვის დონიდან 460 მეტრზე. საგარეჯოდან 28 კილომეტრის მანძილზე. 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 578 კაცი (მამაკაცი-286, ქალი-292)

სურათი N 1. საკვლევი ტერიტორიის მდებარეობა

სოფელი მისიხულო
საბარელოს მუნიციპალიტეტი
საქართველო

საკვლევი არეალის საზღვარი
ფართობი: 12260069 კვ.მ



წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო


შემსრულებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ლოქტორანტი ელენე გლიაძე

1. გამოყენებული ინფორმაციის წყარო საკვლევ ტერიტორიაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საკვლევი ტერიტორიის საზღვრებში გამოთხოვილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

- სისტემური აზომვების ელექტრონული მონაცემები;
- არქივში დაცული მიწათსარგებლობის რუკები;
- ნიადაგების რუკები.

არსებული საკადასტრო მონაცემების სრულფასოვანი ანალიზისათვის შეგროვდა ასევე ინფორმაცია საჯარო რეესტრის ელექტრონულ საკადასტრო რუკაზე (<https://maps.gov.ge/map/portal>) გამოქვეყნებული გრაფიკული და ამონაწერებში დოკუმენტირებული ინფორმაციიდან. დაურეგისტრირებელ ნაკვეთებზე კი, მოძიებულ იქნა სარეგისტრაციო განცხადებებში არსებული ჩანაწერები (<https://www.my.gov.ge/ka-ge/services/5/service/176>).

მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის შედეგად მივიღეთ საკვლევ არეალზე ყველა შესაძლო საკადასტრო ინფორმაციის ტიპი. საკვლევი არეალის ფართობია 1226 ჰა, საიდანაც აზომვა/აგეგმვით დაფარული ფართობია 1077 ჰა, აღუწერელი ფართობია 149 ჰა.



სურათი N2. დიაგრამა სისტემური საკადასტრო აღწერებით დაფარული და დაუფარავი ტერიტორიების პროცენტული მაჩვენებელი

სურათი N 3. სისტემური საკადასტრო აღწერების შედეგები:


სოფელი მზისბული

საბარეჯოს მუნიციპალიტეტი

საქართველო

სისტემური საკადასტრო აღწერები

2016-2019 წლები



მასშტაბი: 1:50,000

670 335 0 670 1,340 2,010 მეტრი

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, დეკემბერი, 2022წ

შემსრულებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ლოქტორანტი ელენე გლიაძე


აზომილი ნაკვეთების მონაცემების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ ბევრია ტოპოლოგიური შეცდომები (გადაფარვები და სიცარიელები). რაც შეეხება მიწაზე სხვა საკადასტრო მონაცემებს შემდეგნაირია:

2. ნაკვეთების რაოდენობა და ფართობები საკვლევი საზღვარში

ცხრილი N 1

სისტემურად აზომილი ნაკვეთების მდგომარეობა	რაოდენობა	ფართობი (კვ.მ)
დაკორექტირებული სისტემური აზომვა	50	180388
სისტემური აზომვა	1221	9579484
სპორადული აზომვა	62	1124296
სულ	1333	10884168

სურათი N 4. დიაგრამები აზომილი ნაკვეთების მონაცემების საბოლოო მდგომარეობის შესახებ რაოდენობისა და ფართობების მიხედვით




3. რეგისტრაციის შედეგები

ცხრილი N 2

ნაკვეთების რეგისტრაციების შესახებ	რაოდენობა	ფართობი (კვ.მ)
არარეგისტრირებული	164	495416
რეგისტრირებული	1169	10388752
სულ	1333	10884168

სურათი N 5. დიაგრამები აზომილი ნაკვეთების რეგისტრაციების
შესახებ რაოდენობისა და ფართობების მიხედვით





4. უფლებრივი მდგომარეობა

ცხრილი N3 საკუთრების ფორმები რეგისტრირებულ ნაკვეთებში:

საკუთრების ფორმები	რაოდენობა	ფართობი (კვ.მ)
უცნობი თანამესაკუთრით და უფლებამონაცვლე	392	1475513
მუნიციპალური	6	45997
სახელმწიფო	169	4901156

იურიდიული პირი	20	1126146
კერძო	746	3335356

სურათი N6. დიაგრამები - რეგისტრირებული ნაკვეთებში საკუთრების ფორმების პროცენტული მაჩვენებელი რაოდენობისა და ფართობების მიხედვით




შეზღუდული უფლება (იჯარა, იპოთეკა, სერვიტუტი და ა.შ სხვა ვალდებულება) რეგისტრირებულია 158 ნაკვეთზე.

სურათი N7. რუკა საკუთრების ფორმების გეოგრაფიული განაწილების შესახებ

სოფელი მზისბუღი
საბარეოს მუნიციპალიტეტი
საქართველო

მიწის ნაკვეთის
ფელსობელობის ტიპი



მასშტაბი: 1:50,000

670 335 0 670 1,340 2,010 მეტრი

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ღებმეგბერი, 2022წ


შემსრულებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი ელენე ბლიაძე

5. მიწის მიზნობრივი დანიშნულების ტიპები

ცხრილი N 4. დანიშნულების ტიპების მდგომარეობა

მიწის დანიშნულების ტიპი	რაოდენობა	ფართობი (კვ.მ)
არ არის ინფორმაცია	164	495416
არასასოფლო-სამეურნეო	37	1221775
სასოფლო-სამეურნეო	1132	9166976
სულ	1333	10884168

სურათი N 8. დიაგრამები - მიწის მიზნობრივი დანიშნულების ტიპების პროცენტული მაჩვენებლები რაოდენობისა და ფართობების მიხედვით




6. მიწის გამოყენების ტიპი


ცხრილი N5. მიწის გამოყენების (კატეგორიების) ტიპების მდგომარეობა

მიწის გამოყენების ტიპი	რაოდენობა	ფართობი (კვ.მ)
არ არის ინფორმაცია	1108	7477498
საკარმიდამო	64	217363
საძოვარი	3	88736
სახნავი	158	3100570
სულ	1333	10884168

სურათი N 9. დიაგრამები - მიწის გამოყენების ტიპების პროცენტული მაჩვენებლები რაოდენობისა და ფართობების მიხედვით



სურათი N10. რუკა მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და კატეგორიების გეოგრაფიული განაწილების შესახებ



7. ინფორმაცია მიწის საფარის შესახებ

შენობა ნაგებობებით დაფარული ტერიტორიის (განაშენიანების) ფართობია 65826 კვ.მ, ხოლო საცხოვრებელი და არა-საცხოვრებელი შენობა/ნაგებობების რაოდენობა ჯამში 982. გზებით და წყლით დაფარული ტერიტორიების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ აღირიცხება.

რეგისტრირებული დაცული ტერიტორიის ნაკვეთის ფარგლებში მოქცეულია ტყის ფონდის შესახებ ინფორმაცია და არ ხდება მისი განცალკევება სხვა ტიპის საფარებისაგან.

8. ისტორიული მონაცემები

8.1 არქივში დაცული ინფორმაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივში დაცულია საბჭოთა კავშირის დროინდელი მეთოდოლოგიით შესრულებული მიწათსარგებლობისა და ნიადაგის ბონიტირების ძველი რუკები და ანგარიშები, რომელიც გამოიყენებოდა მიწის რესურსების მართვისათვის.

კვლევის ფარგლებში გადმოცემული რუკები რეფერენსირებულია და მოხდა მათზე აღბეჭდილი მონაცემების ვექტორიზაცია, რათა გაადვილებულიყო მიწათსარგებლობის და ნიადაგების ტიპების ფართობების დათვლა საკვლევ ტერიტორიაზე.

8.2 ბოლო მიწის ბალანსის მონაცემები

ცხრილი N6. სტატისტიკურ ანგარიშში 2003 წლის

1 იანვრის მდგომარეობით მოცემული ინფორმაცია ბოგდანოვკის საკრებულოსთვის:

სასოფლო სამეურნეო სავარგული	1130
სახნავი	698
მრავალწლიანი ნარგავები	160
საძოვარი	272


არასასოფლო-სამეურნეო	228
ტყე	21
მინდორდაცვითი ზოლები	6
ბუჩქნარი	20
ჭაობი	33
წყლით დაფარული	73
გზები	57
შენობებით დაკავებული	38
სხვა	20
საერთო ფართობი	1398

8.3 მიწის გამოყენების ტიპების ანალიზი ძველი მიწათსარგებლობის რუკების მიხედვით

დიგიტალიზაციით მიღებული ვექტორული ფორმატის მონაცემებიდან გამოყოფილია 20 კატეგორიის მიწათსარგებლობის ტიპი და დათვლილია შესაბამისი ფართობები სახელმწიფო გეოდეზიური სისტემაში (UTM პროექციასა და WGS 1984 კოორდინატთა სისტემაში).

სურათი N 11. დიაგრამა მიწის გამოყენების ტიპების ფართობების მდგომარეობა

მიწის გამოყენების ტიპი




ცხრილი N 7 მიწის გამოყენების ტიპის ფართობები დიგიტალიზირებულ მიწათსარგებლობის რუკიდან

მიწის გამოყენების ტიპი დიგიტალიზირებულ მიწათსარგებლობის გეგმაზე	ფართობი (ჰა)
არხი	15.4926
ბუჩქნარი	2.9402
ფერმა	4.5701
გზა	26.5173
კარიერი	4.5613
მდინარე	12.6458
მემორიალი	0.264
ქარსაფარი	35.9303
საკარმიდამო	95.1976
სამეურნეოეზო	9.5179
სასაფლაო	1.6934
სახნავი	661.7588
საზ.ნაგებობა	0.8532
საძოვარი	147.22
სტადიონი	1.1335
ტყეპარკი	0.8289
ვენახი	179.5965
ჭაობი	3.9111
ხეხილისბაღი	18.4613
ხრამიდახევი	3.1193
სულ	1226.2131

სურათი N12. რეფერენსირებული რუკებიდან დიგიტალიზირებული ძველი მინათსარგებლობის მონაცემების გეოგრაფიული განაწილება.

სოფელი გზისგზული მიწის კატეგორიის ტიპები
საბარეზოს მუნიციპალიტეტი კვეთს მიწათსარგებლობის რუკებით
საქართველო



8.4 ნიადაგების ტიპები ძველი ნიადაგური რუკების მიხედვით

სურათი N13. ნიადაგის ტიპების გეოგრაფიული განაწილება დიგითალიზირებულ ნიადაგურ რუკებზე


სოფელი მზისგაშლი

საბარეშოს მუნიციპალიტეტი

საქართველო

ნიადაგის ტიპები

კველი ნიადაგური რუკით



მასშტაბი: 1:50,000

670 335 0 670 1,340 2,010 მეტრი


წყარო: საქართველოს სსრ საბარეშოს რაიონის გეოგრაფიკული
ნიადაგების რუკა, შესრულებული 1982 წლის
კორექტირების მასალების საფუძველზე

შემსრულებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი ელენე ბლიაძე

ცხრილი N8. ნიადაგის ტიპის ფართობები
დიგიტალიზირებული რუკიდან

ნიადაგის ტიპის კოდი დიგიტალიზირებულ რუკაზე	ფართობი (ჰა)
ანთროპოგენული	125
1	231
2	82
3	205
4	174
5	231
6	178

სურათი N14. ნიადაგის ტიპების განაწილების დიაგრამა
დიგიტალიზირებული ფართობების მიხედვით



ცხრილი N9. დიგიტალიზირებული რუკის ფართობებთან შედარება:

N	ნიადაგის ტიპი	ფართობი ძველი რუკის ექსკლუკაციიდან	ფართობი დიგიტალიზირებული რუკიდან	სხვაობა
0	ანთროპოგენული საფარი		125.1	125.1
1	შავმიწა სამხრეთის, საშუალო სისქის, მცირე ჰუმუსიანი, სუსტად ხირხატიანი, სუსტადბიცობიანი, სუსტად გაკულტურებული	202.35	230.6	28.3
2	შავმიწა სამხრეთის, საშუალო სისქის, მცირე ჰუმუსიანი სუსტად ხირხატიანი, სუსტად ბიცობიანი ათვისებული	78.05	82.4	4.3
3	შავმიწა სამხრეთის, საშუალო სისქის, სუსტად ბიცობიანი, სულფატური და ქლორიდული სულფატური, 30სმ-დან სუსტად და საშუალოდ, 100სმ-დან ძლიერ დამლაშებული მლაშობნარი.	200.13	204.8	4.6
4	შავმიწა სამხრეთის, სუსტად ჰუმუსირებული, საშ. სისქის სუსტადბიცობიანი, საშუალობიცობიანი, სულფატური 30სმ-დან სუსტად, 70სმ-დან ძლიერ და უძლიერესად დამლაშებული მლაშობნარი.	145.6	173.7	28.1
5	შავმიწა სამხრეთის, საშისქის, სუსტად ჰუმუსირებული, სუსტად ბიცობიანი, სულფატური საშუალო და ძლიერ დამლაშებული. მლაშობნარი. მაგნიუმ-კალციუმიანი, ათვისებული.	218.96	231.3	12.4

6	შავმინასამხრეთის, საშუალო-სისქის, სუსტადჭუმუსირებული, სუსტადბიცობიანი, სულფატური-ზედაპირიდან საშუალოდ. 30-70სმ-დან საშუალოდდაუძლიერესადდამლაშებულიმლაშობიანი, კალციუმ-ნატრიუმიანი, ათვისებული	134.07	178.3	44.2
	სულ	979.16	1226.2	247.1

როგორც სხვაობაში ჩანს განსხვავება დიდი არაა, ესეც გამოწვეულია საკვლევი ტერიტორიის და სოფლის საზღვრებს შორის განსხვავებით.

9. კვლევის შედეგად მიწის კადასტრში იდენტიფიცირებული პრობლემების ჩამონათვალი

1. მიწის საკადასტრო ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს სჭირდება დიდი დრო, ფინანსური თუ საკადრო რესურსი თუ ეს ეხება ტერიტორიას 100-ზე მეტი საკადასტრო ერთეულით;

2. ნაკვეთების კონფიგურაცია უფრო მეტად დამოკიდებულია უფლების დამდგენ დოკუმენტში მითითებულ ფართობზე ვიდრე რეალურად არსებულ ნაკვეთის საზღვრების მდებარეობაზე;

3. ნაკვეთის დანიშნულება და გამოყენების ტიპი მიეთითება ან დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერის მიხედვით ან მესაკუთრის სურვილისამებრ და არა რეალურად არსებული ფაქტური მდგომარეობის მიხედვით;

4. ნაკვეთების რეგისტრაციის პროცესში ერთი მფლობელის და ერთი ტიპის ნაკვეთები ნაწევრდება, უფლების დამდგენი დოკუმენტით და აღიარების კომისიაზე განსახილველი ფართობების ჩვენების მიზნით;

5. არ არის სრული დაფარულობა მიწაზე საკუთრების ტიპის ინფორმაციით და არის გადაფარვები;

6. არ არის სრული დაფარულობა მიწის საფარის ტიპის ინფორმაციით;

7. მიწის გამოყენების ტიპის შესახებ ინფორმაცია არ არის ნაკვეთების 80% -ზე;

8. არ არის ინფორმაცია ნიადაგის ტიპის შესახებ;

9. მწირია მიწისზედა კომუნიკაციების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია მხოლოდ რეგისტრირებული შემთხვევაში;

10. ძველი მონაცემები მხოლოდ სკანირებული რუკების სახითაა და არა დიგიტალური ვექტორული მონაცემების სახით; არც მათი კატალოგი არსებობს, რათა ცნობილი იყოს რა ტერიტორიაზე რომელი წლის და როგორი სახის რუკებია;

11. არ არის ცნობილი მიწის გამოყენების შესახებ უახლესი ინფორმაცია;

12. უწყებების მიერ შექმნილი მიწების გამოყენების შესახებ ინფორმაცია (ქარსაფრები, საძოვრების, ვენახების და თხილის კადასტრები) გაბნეულია და სივრცული მონაცემები არ საჯაროვდება.

10. დასკვნები და რეკომენდაციები

1. საჯარო რეესტრში არსებული საკადასტრო მონაცემების მარტივად და სწრაფად გამოყენება სტატისტიკური და სივრცული ანალიზისათვის თითქმის შეუძლებელია;

2. არსებული მიწის საკადასტრო მონაცემების უმრავლესობაზე არ არის დაფიქსირებული მიწის გამოყენების ტიპი, კატეგორია ან კლასი;

3. საჭიროა ახალი მიწათსარგებლობის ფენის შექმნა თარიღის მითითებით სადაც იდენტიფიცირებული იქნება ყველა ძირითადი კლასი საერთაშორისოდ აღიარებული კლასიფიკატორებით, რომლის თანდათანობით განახლება უნდა მოხდეს ახალი აეროგადაღების ან კოსმოსური გამოსახულებების დახმარებით;

4. საჭიროა მსხვილმასშტაბიანი ძველი ნიადაგური რუკების გაციფრულება და თანდათანობით განახლება ახალი მონაცემებით;

5. შესაძლებელია ძველი მიწათსარგებლობისა და ნიადაგური რუკების გაციფრულება და ცვლილებების ფართობების იდენტიფიცირება მიწის მდგრადი მართვის სწორად დაგეგმვისათვის;

6. აუცილებელია მრავალშრიანი სივრცული საკადასტრო მონაცემთა საცავის სტრუქტურის გამოყენება, რადგან მას გააჩნია უპირატესობები სივრცული მონაცემების მართვის და ანალიზური დამუშავებისათვის, ასევე სტატისტიკური მონაცემების ავტომატიზირებული გენერირების და გაზიარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტურაბელიძე ნ; ურუშაძე თ; ქვაცაბაია ფ; ქვრივიშვილი თ. „მინის კადასტრი“. თბილისი, 2015.
2. ტურაბელიძე ნ; ბერიძე ნ. „მინის რესურსების მართვა“. თბილისი, 2013.
3. ტურაბელიძე ნ. „საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები“, თბილისი 2009 წ.
4. ტურაბელიძე ნ; ბერიძე ნ; ქვაცაბაია ფ. „საქართველოს მიწის სამართალი“. თბილისი, 2011 წ.
5. პაპაჩაშვილი თ; ე. ბლიაძე. საქართველოში მინის კადასტრის საინფორმაციო უზრუნველყოფის მეთოდების ევოლუცია, სამეცნიერო-ტექნიკური რეფერებადი ჟურნალი, თბილისი 2018, გვ.63-79
6. მინის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის სახელმძღვანელო პრინციპები. ვალენტინ კოცევი-მინის სისტემური რეგისტრაციის საერთაშორისო კონსულტანტი. 2017 წ.
7. საქართველოს მთავრობის N388 დადგენილება მინის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ, ქ. თბილისი, 2016 წლის 8 აგვისტო.
8. <https://matsne.gov.ge/>
9. <https://napr.gov.ge/>
10. <https://maps.gov.ge/>
11. <https://www.sagarejo.gov.ge/>
12. <https://support.esri.com/en-us/overview>

REFERENCES:

1. Turabelidze N; Urushadze T; Kvatsabaia F; Kvrivishvili T. "Land Cadastre". Tbilisi, 2015.
2. Turabelidze N; Beridze N. "Management of land resources". Tbilisi, 2013.
3. Turabelidze N. "Basics of local relations", Tbilisi, 2009
4. Turabelidze N; Beridze N; Kvatsabaya F. "Georgian Land Law". Tbilisi, 2011
5. Papachashvili T; E. Bliadze; Evolution of land cadastre information provision methods in Georgia, scientific-technical refereed journal, Tbilisi 2018, p.63-79
6. Guiding principles of the pilot project of systematic land registration. Valentin Kotsev - international consultant for systematic land registration. 2017
7. Resolution #388 of the Government of Georgia on approval of the procedure for performing and documenting the cadastral planning/surveying work of land. Tbilisi, August 8, 20168.
8. <https://matsne.gov.ge/>
9. <https://napr.gov.ge/>
10. <https://maps.gov.ge/>
11. <https://www.sagarejo.gov.ge/>
12. <https://support.esri.com/en-us/overview>

THE RESULTS OF LAND CADASTRAL DATA RESEARCH ON THE EXAMPLE OF THE VILLAGE MZISGULI

Elene Bliadze,

PhD student of GTU,
ebliadze@gmail.com

RESUME

Our research shows the possibilities of spatial analysis by using geo-information systems, on the Georgian land cadaster information, in particular, on the information created in the process of land ownership registration reforms in the Ministry of Justice, the National Agency of Public Registry. Also the research shows the importance of land cadastral data as the basic data. The research findings identify the problematic issues and provides their solution ways.

It was approved the opinion on how important it is to convert the information stored in the archives about the old land use and soil maps into a digital format, particularly, to transfer in the spatial (geographical) information, for comparing old and modern conditions in order to plan future activities. The village Mzisdguli, located in Sagarejo Municipality, Kakheti has been chosen for the research, where the pilot project of systematic registration has been completed.

The boundary of the registration sector of Mzisdguli (55.02) is used as the boundary of the research area. There were analyzed all possible quantitative and percentage indicators from the existing cadastral and spatial data created in the research process. Additionally, there were created data bases with all important geospatial layers, and were prepared thematic maps and various recommendations.

Keywords: Cadastre, Land Cadastral system, Ownership registration, Land resources, Geodata, GIS, Spatial analysis.